ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲐᲖᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲐ

დღეს გამოცდა ჩატარდება წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში.

1. **წაკითხულის გააზრების** ნაწილი შედგება სამი ტექსტისა და 21 ტესტური დავალებისაგან.

   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 21.

   სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

   თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

   არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

2. **ანალიტიკური წერის** ნაწილი შედგება ორი დავალებისაგან.

   ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 18.

   თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 9.

   ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

II ვარიანტი

21 შეკითხვა

დრო – 1 სთ 15 წთ

ტექსტი №1

I ძველი ბერძნული ტრაგედია, უპირველეს ყოვლისა, იქმნებოდა თეატრში სცენაზე წარმოსადგენად. ჩვენამდე თითქმის არ მოაღწია ინფორმაციამ იმის შესახებ, თუ როგორი მუსიკა ჟღერდა სცენაზე, როგორი იყო ქორეოგრაფია, მსახიობთა ხმის ტემბრი, მათი ჟესტიკულაცია, რას წარმოადგენდა სცენოგრაფია. ეს დიდი დანაკლისია, რადგან დრამის თეატრალური ასპექტები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად ზრდიდა მაყურებელზე მისი ზემოქმედების ძალას. რაც შეეხება თავად დრამათა ტექსტებს, ისინი ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევა ძველი ბერძნული თეატრის შესახებ, თუმცა გარკვეული მითითებები იმპლიციტურად მაინც არის ტექსტებში. ამგვარია დრამატურგის მიერ გამოყენებული ფერები.

II ძველ ბერძნულ დრამაში გამოყენებული ფერების მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ ბერძნული სცენოგრაფიის ცალკეული დეტალი. ზოგჯერ ტრაგედიებში ფერს კონცეპტუალური დატვირთვაც აქვს, რომელიც ტრაგედიის ქვეტექსტისა და მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის წვდომასა და გამჟღავნებაში გვეხმარება.

III საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უხუცეს ბერძენ ტრაგიკოსს, **ესქილეს**, ახასიათებს სიმარტივე, სისადავე, რაც დრამატურგის დიდ ოსტატობაზე მიანიშნებს. ფერთა გამაც ესქილეს ტრაგედიებში საკმაოდ მწირია, რაც ტრაგიკოსის სტილის სპეციფიკას, სისადავეს უკავშირდება. ფერი მის ტრაგედიებში იშვიათად გვევლინება სცენის სამკაულად. ის ყოველთვის სრულიად განსაზღვრული ფუნქციის მატარებელია, კერძოდ, ის არის ერთგვარი გასაღები ტრაგედიის ამა თუ იმ ეპიზოდის უკეთ გასააზრებლად, მისი რელიგიურ-მითოლოგიური ქვეტექსტის ამოსაცნობად. ფერის საშუალებით ესქილესთან ხდება ძირითადი მოტივის, ამა თუ იმ ცნებისა თუ იდეის ინტენსიფიკაცია – გაძლიერება, გამოკვეთა. იმავდროულად, ფერი ესქილეს მხატვრული ენის – ეპითეტების, შედარებებისა და მეტაფორების – განუყოფელი ნაწილია.

ტექსტის გაგრძელება ->

IV დიდი ტრაგიკოსის, **სოფოკლეს** ფერთა გამა, ესქილეთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობის ფერებით შემოიფარგლება. ცნობილია, რომ მისთვის განმსაზღვრელი პერსონაჟების შინაგან სამყაროში მომხდარი ძვრებია. ის, ემოციურ ზემოქმედებასთან შედარებით, უპირატესობას ეთიკურ ფაქტორს, მაყურებელზე მორალურ-ზნეობრივი გავლენის მოხდენას ანიჭებს. ის იშვიათად მიმართავს ენის სამკაულებს – ეპითეტებს, შედარებებს, მეტაფორებს. თავისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე ის ესქილეს გავლენას განიცდის, შესაბამისად, მასთანაც დასტურდება დომინანტური ფერები, რომლებიც ნაწარმოებების ძირითადი მოტივების საინტენსიფიკაციოდ გამოიყენება, ხოლო მოგვიანებით ის იწყებს ფერების გამოყენებას ყოველგვარი კანონზომიერების, ღრმა ქვეტექსტებისა და მხატვრული ჩანაფიქრის გარეშე. ის, ამასთანავე, შეგნებულად გაურბის ვიზუალურ ეფექტებსა და მყვირალა ექსტერიერს, შესაბამისად, ფერი მასთან გამოყენების სიხშირითა და ფუნქციით მეორეხარისხოვანია.

V **ევრიპიდე**, სხვა ტრაგიკოსებთან შედარებით, იყენებს უფრო მეტ ფერს, ხშირად მიმართავს სხვადასხვა ფერის საკმაოდ თამამ და ზოგჯერ მოულოდნელ შეხამებას. სამყაროს ასეთი ფერადოვანი აღქმით, ფერთა კომბინაციებით, ფერთა მიზანმიმართული გამოყენებით ის მაქსიმალურად რეალისტურ და შთამბეჭდავ ვიზუალურ ხატებს ქმნის. შესაბამისად, მისი ქრომატული ხედვა უფრო ფერწერულია, ვიდრე დრამატული.

VI ევრიპიდეს მიერ ბერძნული დრამის ფერთამეტყველებაში შეტანილი სიახლე ევრიპიდეს მწერლური ხედვის ისეთ თავისებურებას უკავშირდება, როგორიცაა ირონია. მასთან ირონიული შეიძლება იყოს ყველაფერი – გმირებისა თუ ღმერთების წარმოდგენის მანერა, სიუჟეტის განვითარება, ნაწარმოებში არეკლილი პოლიტიკური რეალიები თუ რიტუალები და სხვ. ფერების შემთხვევაში ირონიულობას იწვევს კონტრასტი ფერის მნიშვნელობასა და იმ კონტექსტს შორის, რომელშიც ის არის გამოყენებული. ევრიპიდე თითქოს ფერით თამაშობს. პოზიტიური ფერი, მაგალითად, თეთრი, თითქოს უნდა მიგვანიშნებდეს დადებით მოვლენაზე, ხოლო მეწამული – სისხლისღვრასა და უბედურებაზე. მაგრამ საქმე პირიქით არის ხოლმე. ევრიპიდესთან თეთრი ფერი საკმაოდ ტრაგიკულ მომენტებში იჩენს ხოლმე თავს, ხოლო მეწამული – საკმაოდ მშვიდობიან სცენებში. ეს, ერთი მხრივ, ტრაგიკული ირონიის გამოვლინებაა, ხოლო, მეორე მხრივ, ფერის დრამატული ფუნქციის მოშლა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

1. **რა არის ავტორის მთავარი მიზანი?**

(ა) გაგვაცნოს ტრაგედიებში ფერთან დაკავშირებული მინიშნებების ამოცნობის მექანიზმი.

(ბ) წარმოაჩინოს სხვაობა სოფოკლესა და ევრიპიდეს კონცეფციებს შორის ფერთა გამოყენების შესახებ.

(გ) გამოიკვლიოს ფერთა გამოყენების სიხშირე ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებში.

(დ) მიმოიხილოს დრამის სცენოგრაფიული ასპექტების როლი მაყურებელზე ემოციური ეფექტის მოხდენაში.

(ე) გამოკვეთოს ფერთა დანიშნულება ესქილეს, სოფოკლეს და ევრიპიდეს ტრაგედიებში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

2. რა განაპირობებდა ტრაგიკოსთა სპეციფიკურ დამოკიდებულებას ფერების მიმართ?

(ა) ეპოქის მოთხოვნები

(ბ) ანტიკური სცენოგრაფიის სპეციფიკური მოთხოვნები

(გ) მაყურებელთა გემოვნება

(დ) მწერლური პრინციპები და მხატვრული ხედვის თავისებურებები

(ე) ტრაგედიათა სიუჟეტები

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

3. რაში მდგომარეობს ფერის ირონიულობა – „ფერით თამაში“ – ევრიპიდეს ტრაგედიებში?

(ა) ევრიპიდე პოზიტიურ ფერს მიმართავს დადებითი პერსონაჟის, ხოლო ნეგატიურს – უარყოფითი პერსონაჟის დახატვისას.

(ბ) ევრიპიდესთან პოზიტიური ფერი ჩნდება მაშინ, როდესაც ტრაგიკული ამბავი ხდება, ხოლო ნეგატიური მაშინ, როდესაც ტრაგიკული არაფერია.

(გ) ევრიპიდეს ტრაგედიების მაყურებელი, ავტორის მიერ გამოყენებული ფერების წყალობით, წინასწარ შემზადებული იყო ტრაგიკული მოვლენებისათვის.

(დ) ევრიპიდეს ტრაგედიებში კონტექსტი და ფერთა ტრადიციული მნიშვნელობა ერთმანეთთან სრულ ჰარმონიაშია.

(ე) ევრიპიდე ტრაგედიებში პოზიტიური და ნეგატიური ფერების – თეთრისა და წითლის – მონაცვლეობას ემოციური ეფექტის გასაძლიერებლად იყენებს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

4. ტექსტის რომელ აბზაცს შეავსებდა მოცემული პასაჟი?

„მის ტრაგედიებში ამა თუ იმ სურათის აღწერისას ერთმანეთის გვერდით გვხვდება: ოქროსფერი, ყვითელი და წითელი, მწვანე, შავი და რუხი, ყვითელი, ღვინისფერი და ზაფრანისფერი და სხვ.“

(ა) I

(ბ) II

(გ) III

(დ) IV

(ე) V

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

5. სამი ტრაგიკოსის მიერ ფერთა გამოყენების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული?

(ა) ფერი მაყურებელს ყველაზე მეტად ევრიპიდეს ტრაგედიათა ჩანაფიქრის წვდომაში ეხმარება.

(ბ) ფერი მაყურებელს ევრიპიდეს ტრაგედიათა ჩანაფიქრის წვდომაში უფრო მეტად ეხმარება, ვიდრე ესქილეს ტრაგედიათა ქვეტექსტების გააზრებაში.

(გ) ფერი მაყურებელს ყველაზე მეტად ესქილეს ტრაგედიათა ჩანაფიქრის წვდომაში ეხმარება.

(დ) ფერი მაყურებელს უფრო მეტად ეხმარება ევრიპიდეს ტრაგედიათა ჩანაფიქრის წვდომაში, ვიდრე სოფოკლეს ტრაგედიათა ქვეტექსტების ამოცნობაში.

(ე) ფერი მაყურებელს ყველაზე მეტად სოფოკლეს ტრაგედიათა ჩანაფიქრის წვდომაში ეხმარება.

6. ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ფერთამეტყველების შესახებ გამოთქმული მოსაზრებებიდან რომელია მართებული?

(ა) სოფოკლე ფერს მორალურ-ზნეობრივი თემების საინტენსიფიკაციოდ მიმართავს, ხოლო ესქილეს მიერ გამოყენებული ფერთა მდიდარი გამა დეკორაციისა და ნიღბების შეფერილობაზე მიგვითითებს.

(ბ) ესქილე ფერს დრამატული მიზნის მისაღწევად ხმარობს, ხოლო ევრიპიდე ფერს ვიზუალური ეფექტის მოსახდენად მიმართავს.

(გ) ესქილე ხშირად იყენებს ოპტიკურ ხერხებს ტრაგიკული ეფექტის მოსახდენად, ხოლო ევრიპიდესთან ფერი გმირთა შინაგანი განწყობის გამოსახატავად არის გამოყენებული.

(დ) სოფოკლე ხშირად მიმართავს ფერს ეპითეტების, შედარებებისა და მეტაფორების შექმნისას, ესქილეს მხატვრულ ენაში კი ეს მოვლენა არ დასტურდება.

(ე) ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიებში ფერთა გამოყენების სიხშირე იდენტურია, ფუნქცია კი – სხვადასხვა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

7. ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) ფერთა გამოყენების სიხშირე ტრაგედიებში არ იყო ტრაგიკოსთა აზროვნების სიღრმის განმსაზღვრელი.

(ბ) ტრაგედიათა ტექსტებში დაცული იმპლიციტური ინფორმაციით შესაძლებელია სრულად აღვადგინოთ ბერძნული დრამის სცენოგრაფია.

(გ) ევრიპიდესეული „ფერთა თამაში“ ემსახურებოდა გმირთა შინაგანი განცდების წარმოჩენას.

(დ) სოფოკლეს ყველა ტრაგედიაში ფერი ძირითადი თემებისა და მოტივების გამოსაკვეთად არის გამოყენებული.

(ე) ბერძნულ დრამაში ფერს ჰქონდა უფრო მეტად კონცეპტუალური, ვიდრე სცენოგრაფიული დატვირთვა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტექსტი №2

კულტურები ღირებულებებისა და კომუნიკაციების სისტემებია, რომელთა შორის მუდმივად ხდება იდეათა გაცვლა, სესხება, მითვისება, ერთმანეთის მიბაძვა თუ ერთმანეთთან შეგუება. საკუთარსა და უცხოს შორის დამოკიდებულება ჩვენი ცხოვრების შემადგენელი აუცილებელი კომპონენტია. XXI საუკუნეში სულ უფრო მეტი ადამიანი დგას გამოწვევის წინაშე, რომელიც გულისხმობს სხვა ტრადიციებისა და ღირებულებების მქონე, სხვა ენებზე მოლაპარაკე და სხვა სამართლებრივ სისტემებში მცხოვრებ ადამიანებთან კავშირსა და ურთიერთქმედებას. სწორედ განსხვავებულობისა და სიუცხოვის ფენომენს შეისწავლის კულტურის კვლევების ერთ-ერთი მიმართულება – ქსენოლოგია (ბერძ. *ქსენო - უცხო*).

ქსენოლოგია მეცნიერების გამოყენებითი დარგია, რომელიც კულტურებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებასა და ადამიანებში კულტურათა შორის კომუნიკაციის უნარის განვითარებას ემსახურება. ქსენოლოგია იკვლევს შემდეგ საკითხებს: უცხოთა როლი კულტურული გარდაქმნების პროცესში, კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ინტეგრაციის პრობლემები, შემწყნარებლობა, სტუმარ-მასპინძლობა, კულტურათაშორისი გაგება და ა. შ.

სიტყვა „უცხო“ მრავალმნიშვნელოვანი, ხშირად უარყოფითი დატვირთვის მქონე სიტყვაა, რომელიც ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „უცნობი“, „საშიში“, „უჩვეულო“, „უცნაური“. თუმცა სახიფათო, შორეული, უცნაური არამც და არამც არ არის სიუცხოვის ობიექტური თვისება. „ჩვენი“ და „უცხო“ მიმართებითი ცნებებია. უცხო არის არა თავისთავად „სხვა“ – ჩვენგან განსხვავებული, არამედ ჩვენ მიერ აღქმული „სხვა“, ანუ ის არის განსხვავებულობისა და უცხოს ჩვენეული ინტერპრეტაცია. „სხვა“ აღიქმება უცხოდ მხოლოდ ვიღაცის პერსპექტივიდან გარკვეულ ადგილას, დროის გარკვეულ მონაკვეთში, გარკვეული თვალსაზრისით.

ტექსტის გაგრძელება ->

უცხოს შესწავლის გზით ქსენოლოგია ამავე დროს ემსახურება თავისის, საკუთარის უკეთ გააზრებასა და გაცნობიერებას. უცხოს პროფილის შექმნა ხელს უწყობს საკუთარი, ინდივიდუალური თუ ჯგუფური იდენტობის განმტკიცებას, თუმცა ამას უარყოფითი შედეგიც შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ის ზოგჯერ საკუთარი ბატონობის ლეგიტიმაციის საფუძველიც შეიძლება გახდეს. მასში შეიძლება გაერთიანდეს ჩვენი სტერეოტიპული წარმოდგენები უცხოს შესახებ, რის შედეგადაც კულტურული განსხვავებულობა შეიძლება სტიგმადაც იქცეს. უცხოს მოდელის შექმნა ზოგჯერ მიზანმიმართულადაც ხდება. სიუცხოვის კონსტრუქციის სწორედ ამგვარი შემთხვევაა ანტისემიტიზმი, ასევე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის შეპირისპირება. თუმცა განსხვავებულობასა და სიუცხოვესთან შეხება შეიცავს არა მხოლოდ საფრთხეებს, არამედ მნიშვნელოვან შესაძლებლობებსაც. სწორედ ამის გაცნობიერებას ემსახურება ქსენოლოგია. ქსენოლოგიური პერსპექტივიდან კულტურათა მრავალფეროვნება აღიქმება როგორც სიმდიდრე, და არა როგორც უწესრიგობა.

ინდივიდების კულტურული განსხვავებულობა თავს იჩენს მაშინ, როდესაც ერთმანეთს სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ხვდებიან. ქსენოლოგიური კვლევების მიხედვით, კულტურათაშორის კომუნიკაციას უკეთ შეძლებს ის ადამიანი, რომელსაც აქვს კულტურათაშორისი კომპეტენცია – ვისაც შეუძლია ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა კულტურა, ვისაც გამომუშავებული აქვს საკუთარი კულტურისა და ღირებულებების კრიტიკულად შეფასების უნარი. კულტურათაშორისი კომპეტენციის განვითარება არ გულისხმობს ადამიანის ღირებულებების შეცვლას, არამედ მისი დანიშნულებაა ამ ღირებულებების გააზრება, რაც, თავის მხრივ, ყველა ადამიანის ღირსებისა და თანასწორობის აღიარების საწინდარი იქნება. ეს უნარი სჭირდება ყველას, ვისაც უცხო კულტურების წარმომადგენლებთან უწევს ურთიერთობა.

ქსენოლოგთა აზრით, სიუცხოვის, განსხვავებულობის გამოცდილებას ადამიანები იძენენ არა მხოლოდ კულტურათაშორისი კონტაქტების დროს, არამედ თავიანთი კულტურის ფარგლებშიც, სადაც თავს იჩენს ხოლმე სუბკულტურული სიუცხოვე სოციალურ ფენებსა და თაობებს შორის. თითოეული ჩვენგანი თავისი ცხოვრების გარკვეულ მომენტში ყოფილა უცხო. მაგალითად, ასეთ როლშია სკოლაში პირველ დღეს მისული პირველკლასელი, ახალი თანამშრომელი და სხვ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

8. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) მიმოიხილოს ქსენოლოგიის, როგორც კულტურათა კვლევის ერთ-ერთი დარგის რაობა და მნიშვნელობა.

(ბ) მოგვაწოდოს ინფორმაცია სუბკულტურული სიუცხოვის მნიშვნელობის შესახებ ქსენოლოგიურ კვლევებში.

(გ) ხაზი გაუსვას კულტურათა მრავალფეროვნებით გამოწვეულ სირთულეებს XXI საუკუნეში.

(დ) ხაზი გაუსვას კულტურათაშორისი კომპეტენციის მნიშვნელობას ინდივიდის პიროვნულ განვითარებაში.

(ე) გამოკვეთოს საკუთარისა და უცხოს ურთიერთდამოკიდებულების სპეციფიკა XXI საუკუნეში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

9. ჩამოთვლილთაგან რომელია <u>მცდარი</u>?

(ა) განსხვავებულობისა და სიუცხოვის პრობლემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

(ბ) შეფასებები, როგორებიცაა „უცხო“ და „სხვა“, ინდივიდის სუბიექტური აღქმით არის განპირობებული.

(გ) კულტურათაშორისი კომპეტენციის მქონე ადამიანისათვის ურთიერთობა სხვა კულტურის წარმომადგენლებთან შედარებით ადვილია.

(დ) განსხვავებულობასა და სიუცხოვესთან შეხება ადამიანს გამოცდილებას ჰმატებს.

(ე) სიუცხოვის, განსხვავებულობის გამოცდილებას ადამიანები მხოლოდ კულტურათაშორისი კონტაქტების დროს იძენენ.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

10. კულტურათაშორისი კომპეტენცია მოიცავს:

I. სხვადასხვა კულტურათა ურთიერთშედარების უნარს

II. საკუთარი კულტურისა და ღირებულებების კრიტიკულად შეფასების უნარს

III. საკუთარ ღირებულებათა გადაფასებისა და შეცვლის უნარს

ჩამოთვლილთაგან მართებულია:

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ I და II

(გ) მხოლოდ I და III

(დ) მხოლოდ II და III

(ე) I, II, III

11. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) „უცხო“ თავისთავად ნიშნავს სახიფათოს, შორეულს, უცნაურს.

(ბ) „უცხო“ ობიექტურად არის იგივე „სხვა“, ანუ ჩვენგან განსხვავებული.

(გ) სიუცხოვე ინდივიდის სუბიექტურ ხედვაზეა დამოკიდებული.

(დ) „უცხო“ ყველა კულტურაში ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი დატვირთვის მქონე სიტყვაა.

(ე) ინდივიდი საკუთარ კულტურაში არასოდეს არის „უცხო“.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

12. ტექსტის ბოლო აბზაცში:

(ა) შეჯამებულია ტექსტში განხილული ძირითადი საკითხი.

(ბ) წამოჭრილია ტექსტის ძირითად თემასთან დაკავშირებული ახალი საკითხი.

(გ) წარმოდგენილია მაგალითები წინა აბზაცში გამოთქმული ძირითადი აზრის საილუსტრაციოდ.

(დ) წარმოდგენილია წინა აბზაცში გამოთქმული აზრის საპირისპირო მოსაზრება.

(ე) გავრცობილია პირველ აბზაცში მოყვანილი მსჯელობა.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

13. ანტისემიტიზმის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის შეპირისპირების მაგალითები ტექსტში მოყვანილია იმის საჩვენებლად, რომ:

(ა) დღესდღეობით ეს შეპირისპირებები ქსენოლოგიის კვლევის მთავარი საგანია.

(ბ) ამ ტიპის შეპირისპირებების კვლევა ხელს უწყობს თავისის, საკუთარის უკეთ გააზრებასა და გაცნობიერებას.

(გ) კულტურული განსხვავებულობის გამო სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის მუდმივად არსებობს შეპირისპირება.

(დ) ეს შეპირისპირებები „უცხოს“, „განსხვავებულის“ სპეციალურად შექმნილი სტერეოტიპული წარმოდგენებია.

(ე) ეს შეპირისპირებები ქსენოლოგიური პერსპექტივიდან კულტურათა მრავალფეროვნებაზე მიუთითებს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

14. რა თანამიმდევრობით არის განხილული ტექსტში ქვემოთ წარმოდგენილი საკითხები?

A. „უცხოს“ პროფილის შექმნის დადებითი და უარყოფითი მხარეები

B. ქსენოლოგიის არსი და კვლევის საგანი

C. „ჩვენისა“ და „უცხოს“ მიმართებითი ხასიათი

D. სუბკულტურული სიუცხოვე

E. კულტურათაშორისი კომპეტენციის მნიშვნელობა

(ა) E, A, B, C, D.

(ბ) B, A, E, D, C.

(გ) B, C, A, E, D.

(დ) C, B, A, D, E.

(ე) D, E, C, A, B.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტექსტი №3

I თანამედროვე ბიოტექნოლოგია ტექნიკურ და ბიოლოგიურ მეცნიერებათა ინტეგრაციის შედეგად ჩამოყალიბდა. ბოლო წლების განმავლობაში, განვითარების მოკლე პერიოდში, ბიოტექნოლოგიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. მან ფართო შესაძლებლობები დასახა წარმოების სხვადასხვა სფეროსა და სოფლის მეურნეობაში ბიოლოგიური პროცესების დანერგვის, აგრეთვე, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების შექმნისა და გამოყენების საქმეში.

II თანამედროვე ბიოტექნოლოგიის ეფექტიანი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გაითვალისწინებენ მკვლევრები ეკოლოგიის კანონზომიერებებს. ბიოტექნოლოგიას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუმცა უპასუხისმგებლო მიდგომამ შეიძლება გლობალურ კატასტროფამდეც მიიყვანოს კაცობრიობა. ეს ბიოტექნოლოგიის ყველა მიმართულებას ეხება, როგორც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და სამკურნალო პრეპარატების მიღებას, ისე მაღალპროდუქტიული, უსაფრთხო გენმოდიფიცირებული ორგანიზმების, როგორებიცაა გენმოდიფიცირებული სიმინდი, კარტოფილი და სხვ., შექმნასა და გამოყენებას.

III ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა სოფლის მეურნეობაში ბიოტექნოლოგიურ მეთოდებს, ცვლიდა შინაურ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა გენეტიკურ სტრუქტურას და ახალი ჯიშები გამოჰყავდა. ამას ის მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდებით – ჰიბრიდიზაციითა და ხელოვნური გადარჩევით – ახერხებდა. დღეს გენეტიკური სტრუქტურის რეკონსტრუქციას თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდებითაც ახდენენ, რომლებსაც მცირე რამ აქვს საერთო ადრე გამოყენებულ მეთოდებთან. თანამედროვე ბიოტექნოლოგია გენურ და უჯრედულ ინჟინერიას ეფუძნება.

IV ამჟამად სოფლის მეურნეობაში ბიოტექნოლოგიას იყენებენ როგორც სელექციის ტრადიციული მეთოდების გასაუმჯობესებლად, ისე ახალი ტექნოლოგიების შესამუშავებლად, რითაც სოფლის მეურნეობის ეფექტიანობას ზრდიან. ამ ღონისძიებების შედეგია უხვმოსავლიანი, მავნებლების მიმართ მდგრადი და ადამიანისათვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი ჯიშების გამოყვანა. ეს პროდუქტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით, აქვს მომგებიანი სასაქონლო სახე და დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს კვებით ღირებულებას.

ტექსტის გაგრძელება ->

V თუმცა არსებობს ეჭვი, რომ ამ გზით მიღებული ზოგიერთი პროდუქტი უარყოფითად იმოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ბიოტექნოლოგიური მეთოდებით მიღებულ გენმოდიფიცირებულ მცენარეთა უჯრედებში შესაძლებელია მოხდეს ადამიანისთვის საშიში ნივთიერებების – ტოქსინების, ალერგენების და ა. შ. – არამიზნობრივი სინთეზი. გარდა ამისა, გენმოდიფიცირებული ორგანიზმი წარმოადგენს ახალ ორგანიზმს ახალი თვისებებით, რომლებიც შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს გარემოსა და ეკოსისტემისათვის.

VI ამის დასადგენად საჭიროა ხანგრძლივი, მრავალმხრივი მეცნიერული კვლევები, რადგან გენის გადატანით მიღებული შედეგები შესაძლოა, გამოვლინდეს როგორც გენმოდიფიცირებული ორგანიზმის მომდევნო თაობებში, ისე მისი მომხმარებლის ორგანიზმშიც. გენმოდიფიკაციის დროს სინჯარაში შესწავლილი გენის შესახებ მხოლოდ იმის განსაზღვრა შეიძლება, თუ როგორია და როგორ იქცევა ის ხელოვნურ პირობებში, მაგრამ ნაკლებადაა ცნობილი მისი როლისა და ქცევის შესახებ მშობლიურ ორგანიზმსა და, მით უმეტეს, სრულიად უცხო ორგანიზმში მისი გადატანის შემთხვევაში. ამდენად, ძირითადი კითხვა – რამდენად უვნებელია ადამიანისთვის თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული სასურსათო პროდუქტები – ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვანი პასუხის გარეშე რჩება.

VII დღეისათვის მატულობს იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც „სიფრთხილის პრინციპს“ ამჯობინებენ და საკვებად არ იყენებენ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს. გარდა ამისა, ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება, უარი თქვას გენეტიკურად მოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტზე, თუკი მიიჩნევს, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს მავნე ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. თუმცა ამ ტიპის გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გაითვალისწინონ პრობლემის არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ასპექტებიც.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

15. რა არის ავტორის მთავარი მიზანი?

(ა) წარმოაჩინოს ინტერდისციპლინური დარგის – ბიოტექნოლოგიის – განვითარების პერსპექტივები.

(ბ) მიმოიხილოს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა სფერო.

(გ) წარმოაჩინოს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის როლი ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

(დ) ერთმანეთს შეადაროს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტრადიციული და თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდები.

(ე) ყურადღება გაამახვილოს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოყენების საფრთხესა და სარგებელზე სოფლის მეურნეობაში.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

16. რა თანამიმდევრობითაა განხილული ტექსტში შემდეგი საკითხები?

A. თანამედროვე ბიოტექნოლოგიით მიღებული სასურსათო პროდუქტების გამოყენების საფრთხეები

B. უსაფრთხოების ზომები გენმოდიფიცირებული პროდუქტების მავნე ზემოქმედებისაგან თავდასაცავად

C. თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენების უპირატესობები სოფლის მეურნეობაში

D. თანამედროვე ბიოტექნოლოგიის გამოწვევები და ამოცანა

E. ტრადიციული ბიოტექნოლოგიური მეთოდები სოფლის მეურნეობაში

(ა) A, D, C, B, E.

(ბ) C, B, A, C, E.

(გ) D, E, C, A, B.

(დ) E, A, C, B, D.

(ე) D, E, A, C, B.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

17. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) გენმოდიფიცირებული ორგანიზმები ალერგიის გამომწვევია, თუმცა მათ მაღალი ტოქსიკურობა არ ახასიათებს.

(ბ) მკვლევრები ადვილად ადგენენ ხელოვნურ პირობებში შესწავლილი გენის თავისებურებებს მშობლიურ ორგანიზმში, უცხო ორგანიზმში მისი ქცევის შესახებ კი ვერაფერს ამბობენ.

(გ) გენური ინჟინერიის გზით მიღებული პროდუქტის წარმოებაში გამოყენების საკითხი დღეისათვის ერთმნიშვნელოვნადაა გადაწყვეტილი.

(დ) გენმოდიფიცირებული პროდუქტების შესაძლო საფრთხისაგან თავის დაცვა ხდება როგორც ინდივიდუალურ, ისე სახელმწიფო დონეზე.

(ე) გენმოდიფიცირებული პროდუქტის იმპორტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მთავრობა, პირველ რიგში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ითვალისწინებს.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

18. ბოლო აბზაცში:

(ა) წამოჭრილია ახალი თემა ტექსტში დასმულ ძირითად საკითხთან დაკავშირებით.

(ბ) გაზიარებულია ძირითად საკითხთან დაკავშირებით ტექსტში გამოთქმული ერთ-ერთი თვალსაზრისი.

(გ) მოყვანილია მაგალითი წინა აბზაცში გამოთქმული აზრის საილუსტრაციოდ.

(დ) მოყვანილია დამატებითი არგუმენტი ტექსტში გამოთქმული ვარაუდის გასამყარებლად.

(ე) გამოთქმულია ტექსტში წარმოდგენილი მთავარი აზრის საპირისპირო თვალსაზრისი.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

19. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება <u>არ დასტურდება</u> ტექსტში?

(ა) თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენებისას აუცილებელია ეკოლოგიური კანონზომიერების გათვალისწინება.

(ბ) გენმოდიფიცირებული პროდუქტების გამოყენებამ შესაძლოა, მავნე ზემოქმედება იქონიოს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

(გ) თანამედროვე ბიოტექნოლოგია სოფლის მეურნეობასა და წარმოების სხვადასხვა სფეროში გამოიყენება.

(დ) სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ტრადიციული მეთოდები მთლიანად ჩაანაცვლა თანამედროვე ბიოტექნოლოგიურმა მეთოდებმა.

(ე) სახელმწიფოს შეუძლია თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდებით მიღებული სასურსათო პროდუქტების გავრცელების შეზღუდვა.

20. *ტრანსგენული ორაგული სატბორეშია გამოყვანილი ჩვეულებრივ ორაგულში სამეფო ორაგულიდან გამოყოფილი ზრდის ჰორმონის გენის ჩანერგვით. ის, საწყისი ფორმისაგან განსხვავებით, სწრაფად იზრდება და დიდ ზომას აღწევს. თუმცა ეკოლოგები შიშობენ, რომ სატბორიდან ველურ ბუნებაში მოხვედრის შემთხვევაში ისინი ადგილობრივ ჯიშებს გაამეებენ.*

რომელ აბზაცს უკავშირდება ყველაზე მეტად მოყვანილი მაგალითი?

(ა) I

(ბ) II

(გ) IV

(დ) V

(ე) VII

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

21. ჩამოთვლილთაგან რომელ აზრს იზიარებს ავტორი?

(ა) გენმოდიფიცირებული სასურსათო პროდუქტების დიდი ნაწილი ხანგრძლივად ვერ ინარჩუნებს კვებით ღირებულებას.

(ბ) თანამედროვე ბიოტექნოლოგიების გამოყენება გაცილებით უფრო საზიანოა კაცობრიობისათვის, ვიდრე სასარგებლო.

(გ) ყველაზე დიდ საფრთხეს თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების არამიზნობრივი გამოყენება სოფლის მეურნეობის სფეროში ქმნის.

(დ) მთავარი, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურებმა თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეშვეობით შეიძინეს, არის მათი მდგრადობა მავნე მწერების მიმართ.

(ე) დღეისათვის დანამდვილებით ვერავინ ამტკიცებს გენმოდიფიცირებული პროდუქტების ვერც უვნებლობას და ვერც მის საზიანო ზემოქმედებას.

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21

ტესტის დასასრული

ტექსტი №1	1	2	3	4	5	6	7	ტექსტი №2	8	9	10	11	12	13	14	ტექსტი №3	15	16	17	18	19	20	21